სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N6

გამარტივებული შესყიდვა

ქ.ზუგდიდი 21.04.2016 წელი

ერთის მხრივ,
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა
წარმოდგენილი დირექტორის ვალერი ზარანდია სახით ,
საიდენტიფიკაციო კოდი:220373708
სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ნ GE78LB0121111138475000
ტელ: 577628484
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
ი/მ „ნადია თორდინავა"
წარმოდგენელი **ნადია თორდინავა** სახით
მისამართი: ზუგდიდი
საიდენტიფიკაციო კოდი: 19001038800
ს/ს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIGGBE22
ა/ნ. GE10PC0173600100015897
(შემდგომში „მიმწოდებელი")

ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- ფარდები შესყიდვა;
- CPV კოდი: 39500000

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **დანართი N1-ში,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. **ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 330 (სამასოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.3. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია **დანართში N1 - ფასების ცხრილი;**

3.4. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში;

3.5. დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

3.6. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

3.7. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაკუმენტაციის საფუძველზე,კერძოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან <u>30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.</u>

4. **საქონლის მიწოდების პირობები და ვარგისიანობის ვადა**

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების (ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის) თარიღიდან - <u>10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;</u>

4.2. ხელშეკრულების თანახმად შესყიდვების ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია შემსყიდველის მისამართი ,მდებარე : **ზუგდიდი,სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა**

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი;

4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად ,მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის,კერძოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა ან სასაქონლო ზედნადების და მიღება - ჩაბარების აქტის წარმოდგენა.

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ღირებულების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.3. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო **სკოლის დირექტორი: ვალერი ზარანდია.**

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვარგისიანობის ვადის პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შემდეგ მხოლოდ სწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.4. შემსყიდველი მხრიდან კონტროლს განახორციელებს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო **სკოლის დირექტორი: ვალერი ზარანდია.**

7. **გარანტია**

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.4. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. . ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) ხელშეკრულების დამდები მხარე ,რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება,მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.არნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10(ათი) დღით ადრე.

ბ)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

გ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების 9.1 . მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 3%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3. თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს <u>ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.</u>

10.3.2. განუსაზღვროს მიწოდების დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 3%-ის ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.5.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.5.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

10.5.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.6. ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

13.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

13.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“,ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“;

13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

13.4. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. .მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონის შესაბამისად **2016 წლის 21 აპრილს.**

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს <u>2016 წლის 1 ივნისის ჩათვლით.</u>

16. სხვა პირობები

6. [illegible]

16.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან. ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
16.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა წარმოდგენილი დირექტორის ვალერი ზარანდია სახით, ვალერი ზარანდია	ნადია თორდინავა

დანართი 1

საქონლის დასახელება	შესყიდვის კოდი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
საფარდე ქსოვილი	39515100	მეტრი	20	12	240
მომსახურება		ცალი	6	15	90
ჯამი					330(სამასოცდაათი ლარი)

შემსყიდველი:

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა
წარმოდგენილი დირექტორის ვალერი ზარანდია სახით ,

ვალერი ზარანდია

მიმწოდებელი:

ნადია თორდინავა

მ

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.ზუგდიდი 24 .04.2016-წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ **ნადია თორდინავა** (შემდგომში **„მიმწოდებელი“**) და მეორეს მხრივ, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა(შემდგომში **„შემსყიდველი“**)**წარმოდგენილი** მისი **დირექტორის მ.შ. ვალერი ზარანდიას სახით** ,ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ **მიმწოდებელმა** გადასცა **შემსყიდველს ხელშეკრულება** N6 (21/04/2016)**გათვალისწინებული** -330 (სამასოცდაათი ლარი და 00 თეთრი)ლარის ღირებულების ფარდები. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების გათვალისწინებით, რასაც ხელის მოწერით ვადასტურებთ.

საქონლის დასახელება	შესყიდვის კოდი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
საფარდე ქსოვილი	39515100	მეტრი	20	12	240
მომსახურება		ცალი	6	15	90
ჯამი					330(სამასოცდაათი ლარი)

შემსყიდველი:

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა წარმოდგენილი დირექტორის ვალერი ზარანდია სახით ,

ვალერი ზარანდია

მიმწოდებელი:

ნადია თორდინავა

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0234185856

2	25/04/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	15:40:28

დრო (საათი, წუთი)

4	ნადია თორდინავა	19001038800
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის #2 საჯარო სკოლა	220373708
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	საფარდე ქსოვილი სქელი	1	მეტრი	20.0000	12.0000	240.0000
2	მომსახურება	10	ცალი	6.0000	15.0000	90.0000

13	330 - სამას ოცდაათი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	25/04/2016	15:40:28
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 21/01/2017, 22:22:53